

ვარკეთილი

ერთობაზე დაფუძნებული
კავშირი



VARKETILI

Community Based
Organization

ტელეფონი: 79 21 02 ;

მობ: 893363244

ტელეფაქსი: 79 07 55;

ელ.ფოსტა sv1995 @ mail.ru

ბუნებრივი რესურსების მინისტრს
ბატონ გოგა ხაჩიძეს

ასლი: საქართველოს მწვანეთა მოძრაობას

„ მწვანე ალტერნატივას “

თემა: თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებული წინადადებები

უპირველასად მინდა გაცნობოთ, რომ „საზოგადოება ვარკეთილი“ აღიარებს თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის აუცილებლობას, თუმცა ზოგიერთი საკითხი იწვევს შეშფოთებას, რის შესახებაც გვინდა ჩვენი მოსაზრება გავიზიაროთ. სამწუხაროა, რომ „საზოგადოება ვარკეთილი“, რომელიც 1995 წლიდან ვარკეთილი 3-ის 70 ათასკაციანი დასახლების ინტერესს წარმოადგენს, არ იყო განხილული, როგორც დაინტერესებული მხარე და მასთან (მოსახლეობასთან) არცერთი კონსულტაცია არ შემდგარა. ამჟამად, ინტერნეტითა და კოლეგების დახმარებით ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ყველა დოკუმენტაცია, გავეცანით მას და მოგმართავთ ჩვენს შენიშვნებზე რეაგირებისათვის.

ვარკეთილი 3-ის დასახლება თბილისის მოსახლეობის იმ 25% - მიეკუთვნება, რომელიც თბილისის წყალსაცავს (ზღვას) სასმელად იყენებს. მიგვაჩნია, რომ მისი სისუსფთავე დღესაც სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი. ამას მოწმობს წყლის სუნი, გემო, წყლის ზედაპირამდე გაზრდილი წყალმცენარეები. ზღვაში არ არის აკრძალული კატერებისა და სკუტერების მოძრაობა. არაოფიციალური მონაცემებით (ჩვენი დაკვირვებით) გაზრდილია კუჭ-ნაწლავისა და თირკმელების დაავადებების რაოდენობა. სასმელი წყალი ჭურჭელში მაშინათვე იკეთებს ნალექს.

ნათქვამის გამო, ვფიქრობ, ლოგიკურია ჩვენი შეშფოთება რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც აშკარად ზრდის თბილისის წყალსაცავის ქიმიური, ფიზიკური, ბიოლოგიური, რადიაციული და სხვა სახის გაბინძურების საფრთხეს. გაბინძურების პროცესი, სავარაუდოდ, მშენებლობის დაწყებიდან, მისი მიმდინარეობისა და შემდგომ ექსპლოატაციის თანმდევი იქნება. არანაკლებ საშიშია მიმდებარე ტერიტორიის დანაგვიანება, რომელიც ქვეწარმავლებისა და მაწანწალა ცხოველების შემოსევას გამოიწვევს. ამას თუ დასახლების მიმდებარედ, დენდროპარკის ტერიტორიაზე ზოოპარკის გადატანის იდეას დაგუმატებთ, ადვილი წარმოსადგენია რა საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს ეს ყოველივე ჯანმრთელობის თვალსაზრისით ამ დასახლებაში მცხოვრები ადამიანებისათვის, რომლებიც ისედაც მოსახლეობის ღარიბ ფენას მიეკუთვნებიან.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, შემოვდივართ შემდეგი წინადადებებით:

- ✓ მე-11 რუქაზე (ტოპოგრაფიული ზედაპირის ხასიათის მიხედვით ზედაპირული ნაკადების ფორმირების მოდელირება) ნაჩვენები რკინიგზის საპროექტო ხაზი გადატანილ იქნეს ჩრდილ-აღმოსავლეთით ფერდობზე, დაწყებული გვირაბიდან, რათა მაქსიმალურად იქნას

თავიდან აცილებული არა მხოლოდ ნავთობის ნაკადებზე გამოწვეული, არამედ წყალსაცავის გაბინძურების ყველა სხვა საფრთხეები.

- ✓ რკინიგზის პროექტის პარალელურად სასწრაფოდ დაიწყო წყალმომარაგების ალტერნატიული წყაროს გამოძებნა და რეალიზაცია იმ მოსახლეობისათვის, რომელსაც წყალი თბილისის წყალსაცავიდან მიეწოდება. თბილისის ზღვის გამოყენება კი მოხდეს მხოლოდ რეკრეაციული დანიშნულებით.

გვინდა დავიჯეროთ, რომ ჩვენი საწუხარი არ დარჩება მხოლოდ „ჩვენად“, და სოციალურ გავლენებს მეტი პრიორიტეტი მიენიჭება, ვიდრე ფინანსიურ დანახარჯებს, როგორც ეს, სამწუხაროდ, თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის 42-ე გვერდზეა მოხსენებული.

ცნობისათვის: „საზოგადოება ვარკეთილი“ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ერთად გაზაფხულზე გვემავს კონფერენციის ჩატარებას პროექტთან დაკავშირებით, რომელშიც უშუალოდ მოსახლეობაც მიიღებს მონაწილეობას.

პატივისცემით,

ივანე ცნობილაძე
თავმჯდომარე

